ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში

მე-10 პერიოდული მიმოხილვა

საინფორმაციო მასალა მომზადებულია - "საქართველოს ევროპული ორბიტას" მიერ და ეფუძნება საჯაროდ გავრცელებულ წყაროებს

30 მარტი, 2026

- **უწყვეტი საზოგადოებრივი პროტესტი**

წელიწადი და 4 თვეა საქართველოში უწყვეტად გრძელდება საზოგადოებრივი პროტესტი, რომელიც 2025 წლის 28 ნოემბერს "ქართული ოცნების" ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის შეჩერების გადაწყეტილებას მოჰყვა.

პროტესტის მონაწილეთა მიმართ გატარებული რეპრესიების - ფიზიკური თავდასხმების, კოლოსალური ფინანსური ჯარიმების, ქონების დაყადაღების, სამსახურებიდან გათავისუფლებების, ტროტუარზე დგომის გამო საპატიმრო სანქციების მიუხედავად, პროტესტი არ შეწყვეტილა, არამედ ტრანსფორმირდა. ბოლო თვეებია უწყვეტ ყოველდღიურ პროტესტთან ერთად, მოქალაქეები ყოველ შაბათ საღამოს მრავალრიცხოვანი მარშით გამოხატავენ მზარდი ავტორიტარიზმისა და დემოკრატიის უკუსვლისადმი შეუგუებლობას.

- **ეუთო/ოდირის "მოსკოვის მექანიზმის" ანგარიში**

2026 წლის 12 მარტს გამოქვეყნდა ეუთოს 23 წევრი ქვეყნის მიერ ამოქმედებული მოსკოვის მექანიზმის ფარგლებში მომზადებული ანგარიში საქართველში 2024-2025 წლებში განვითარებული მოვლენების თაობაზე. ანგარიშის მიხედვით, ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებული მოვლენები შეიძლება შეფასდეს, როგორც სისტემური ძალადობა პროტესტანტების, ოპოზიციის და ჟურნალისტების მიმართ. დოკუმენტის თანახმად, დაკავებულების მიმართ მოპყრობა ზოგიერთ შემთხვევაში აღწევს წამების ზღვარს; სამართალდამცავების მიერ ჩადენილ ძალადობა დაუსჯელია, გამოიყენება თვითნებური დაკავებები და პოლიტიკური დევნა; მიმდინარეობს რეპრესიები განსხვავებული აზრის წინააღმდეგ; ადგილი აქვს დემოკრატიის სერიოზულ უკუსვლას.

ანგარიში მოუწოდებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს პოლიტიკური მიზეზებით დაკავებული პირები, ასევე, გააუქმოს რეპრესიული კანონები, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადების, მედიისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიღებული კანონები; შეწყდეს ოპოზიციური პარტიების აკრძალვის პროცესი.

საერთაშორისო საზოგადოების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებში, მათ შორის, აღნიშნულია, რომ რომის სტატუტის ხელმომწერმა სახელმწიფოებმა განიხილონ საქართველოს საქმის გადაცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის (ICC) პოლიტიკური დევნის, წამებისა და სხვა არაადამიანური ქმედებების მზარდი შემთხვევების გათვალისწინებით. ანგარიში ასევე შეიცავს წევრი ქვეყნების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოთაშორისი განაცხადის შეტანის, პასუხისმგებელი პირებისათვის მიზნობრივი სანქციების დაწესების, ასევე, უნივერსალური იურისდიქციის ფარგლებში გამოძიებების დაწყების რეკომენდაციებს.

- **პოლიტიკური პატიმრები და პოლიტიკურად მოტივირებული დევნა პოლიტიკოსთა წინააღმდეგ**

ამ დროისათვის 2024-2025 წლებში პრო-ევროპულ საპროტეტესტო აქციებთან დაკავშირებულით დაკავებული ასობით ადამიანიდან პატიმრობაში რჩება 52 ადამიანი. ასევე, 2025 წლის 4 ოქტომბრის აქციის დროს დაკავებულებიდან წინასწარ პატიმრობაში იმყოფება 61 პირი, ორ პირს კი წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად აქვს შეფარდებული.

დღეის მონაცემებით, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერის მიმართ სისხლის სამართლის დევნა მიმდინარეობს. მათი ნაწილი ამ დროისთვისაც პატიმრობაში რჩება. ამჟამად პატიმრობაში არიან ოპოზიციური გაერთიანებების ლიდერები: ნიკა მელია (პ/გ "ახალი"), ელენე ხოშტარია (პ/გ "დროა"), რომელსაც 1.5 წლით თავისუფლების აღკვეთა "ქართული ოცნების" მერობის კანდიდატის ბანერზე მარკერით გაკეთებული საპროტესტო წარწერის გამო მიესაჯა.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ლიდერებს: გიორგი ვაშაძეს (პ/გ "სტრატეგია აღმაშენებელი"), ნიკა გვარამიას (პ/გ "ახალი"), ზურაბ ჯაფარიძეს (პ/გ "გირჩი - მეტი თავისუფლება"), მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძეს (პ/გ "ლელო") - დეკემბერ-იანვარში პატიმრობების ვადის ამოწურვის და საპატიმრო დაწესებულებების დატოვების შემდგომ მათ ახალი სს ბრალი და გირაო შეეფარდათ, რაც 2-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გირაოშეფარდებული პოლიტიკოსების ნაწილს, ასევე, აეკრძალული აქვს საზღვრის კვეთა საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების გარეშე და ჩამორთმეული აქვთ პასპორტიც.

სს ბრალი და პატიმრობა დაუსწრებლად აქვს შეფარდებული „ქართული ოცნების" ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ამჟამად ოპოზიციონერ ლიდერს, გიორგი გახარიას (პ/გ "საქართველოსთვის"). მას ორი სისხლისსამართლებრივი ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა, რაც 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

- **რეპრესიები პროტესტში ჩართული მოქალაქეების წინააღმდეგ**

მზარდია რეპრესიები პროტესტის მონაწილეთა მიმართ, რაც გულისხმობს როგორც საკანონმებლო ცვლილებების გზით გამოხატვის უფლების უკიდურეს შეზღუდვას, ასევე, მშვიდობიან აქციებზე მოქალაქეთა უმიზეზო დაკავებას, საპატიმრო სასჯელებს ტროტუარზე დგომის/პროტესტის გამო, მათ შორის, ქალების წინააღმდეგ. ტროტუარზე დგომით პროტესტის გამოხატვისთვის მოქალაქეებს 4 დღით აპატიმრებენ.

გრძელდება სხვა უკანონო, დამამცირებელი პრაქტიკები, მათ შორის: ქალებზე ძალადობა, დაკავების შემდგომ სრულად გაშიშვლება, facebook-ზე დაწერილი კომენტარის გამო 10 დღიანი პატიმრობის შეფარდება, პროტესტის ნიშნად გაკეთებული წარწერების გამო დაჯარიმება და პატიმრობა, დაუსაბუთებელი ნარკოტესტირებების იძულება და ტესტის შედეგების სავარაუდო გაყალბება; პოლიციის წინასწარი ნებართვის გარეშე აქციის უკანონოდ ცნობა და სხვა.

- **შეკრების უფლება უკიდურესად იზღუდება**

"ქართული ოცნება" აგრძელებს ერთპარტიულად, დაჩქარებული წესით, ანტიკონსტიტუციური საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას: ფაქტობრივად გაუქმდა თავისუფალი შეკრების კონსტიტუციური უფლება და დაწესდა აქციის ორგანიზებისთვის წინასწარი ნებართვის აღების ვალდებულება. საჯარო სივრცეში შეკრება, მათ შორის ტროტუარზეც, პოლიციის წინასწარ ინფორმირებას და თანხმობას მოითხოვს. პოლიციას, ასევე, უფლება ეძლევა თავად განსაზღვროს მანიფესტაციის ჩატარების დრო, ადგილი, ან სვლაგეზი. ამ მოთხოვნების დაუმორჩილებლობა 15 და 20 დღიან პატიმრობებს ითვალისწინებს.

შეკრებებისა და მანიფესტაციის მონაწილეთათვის განსაზღვრული რიგი აკრძალვები, მათ შორის სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის ბლანკეტური აკრძალვა და სისხლის სამართლის დასჯადობის შემოღება სახალხო დამცველის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა.

2025 წლის 17 დეკემბერს „ქართული ოცნების" მიერ ერთპარტიულად მიღებული იქნა განახლებული საარჩევნო კოდექსიც, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ მილიონამდე საქართველოს მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჩამოერთვათ.

- **არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კრიმინალიზება და საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა**

2026 წლის 4 მარტს „ქართულმა ოცნებამ" მიიღო მორიგი რეპრესიული ცვლილებების პაკეტი 6 საკანონმდებლო აქტში. ცვლილებებით, თუ ორგანიზაცია, ან პირი უცხოურ დაფინანსებას მთავრობის თანხმობის გარეშე მიიღებს, იგი სისხლის სამართლის წესით დაისჯება. საქართველოს მთავრობის ნებართვას საჭიროებს უცხოეთში რეგისტრირებული

ორგანიზაციებიც, რომელთა საქმიანობაც საქართველოს საკითხებზე მუშაობას გულისმობს. ცვლილებებით, პასუხისმგებლობის ზომად გათვალისწინებულია 6 წლამდე, ხოლო რიგ შემთხვევებში 9-დან 12 წლამდე პატიმრობები.

ანტიკონსტიტუციური ცვლილებებით მოქალაქეებს, რომლებიც უცხოურ დაფინანსებას იღებდნენ, პოლიტიკური პარტიის წევრობა და შესაბამისად, პასიური საარჩევნო უფლება 8 წლის განმავლობაში, ანუ 2 საარჩევნო ციკლის ვადითეკრძალებათ.

"ქართული ოცნება" აცხადებს, რომ ინიცირებული ცვლილებების გაცხადებული მიზანი ქვეყნის "არეულობის, ძალადობის და რევოლუციისგან დაცვაა". სინამდვილეში, ცვილებების მიზანია, სისხლის სამართლის დევნის მუქარით აიძულონ ქართული სამოქალაქო და მედია ორგანიზაციები შეწყვიტონ არსებობა და საქმიანობის გაგრძელება საქართველოს ფარგლებს გარედანაც ვერ შეძლონ.

შექმნილი საკანონმდებლო თუ ფინანსური წნეხის გამო, წამყვანი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, საქმიანობის კრიზისულ რეჟიმზე გადადიან, საქმიანობას აჩერებენ, ან უქმდებიან.

შეზღუდვები შეეხო კერძო სექტორსაც. მეწარმე იურიდიული პირები სისხლის სამართლის წესით დაისჯებიან საჯარო-პოლიტიკურ საკითხებზე აქტიურობისთვის.

- **დამოუკიდებელი მედია დახურვის ზღვარზე**

მედია „ქართული ოცნებისგან" მიზნობრივად შექმნილი რეპრესიული გარემოს გამო, შევიწროებისა და მძიმე ფინანსური კრიზისის პირობებში, დახურვის ზღვარზე მუშაობს.

განსაკუთრებული სამიზნეა დამოუკიდებელი ონლაინ მედია, რომელიც აქამდე საერთშორისო, ძირითადად, ევროპული დაფინანსებით არსებობდა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად „გრანტების შესახებ" კანონის ცვლილებების ერთ-ერთი ადრესატია. "ქართული ოცნების" პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი ონლაინმედიებს თავს ესხმის, სისხლის სამართლის დანაშაულში ადანაშაულებს და ემუქრება.

მედიის შესავიწროვებლად აქტიურად კონტროლდება სარეკლამო ბაზარიც. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს კვლევით, პროსამთავრობო და კრიტიკულ მაუწყებლებს შორის უზარმაზარ დისპროპორცია და სარეკლამო ბაზრის არათანაბარი განაწილება არსებობს. შექმნილი ფინანსური პრობლებების გამო 2025 წელს მაუწყებლობა ვეღარ განაახლა 17-მა რეგიონულმა მაუწყებელმა. ფინანსური კრიზისის გამო დახურვის საფრთხის წინაშე არიან ქვეყნის მთავარი კრიტიკული მაუწყებლები – „ფორმულა" და „ტელეკომპანია პირველი". ხელისუფლების მხრიდან სისტემური ფინანსური ზეწოლის გამო, სატელიტური მაუწყებლობა შეწყვიტა დამოუკიდებელმა ტელეკომპანია "თრიალეთმა".

- **გაერთიანებული სამეფოს მიერ სახელისუფლებო პროპაგანდისტული არხების დასანქცირება**

2026 წლის 4 თებერვალს დიდმა ბრიტანეთმა ორი პრო-სახელისუფლებო პროპაგანდისტული სატელევიზიო არხი - „Tv Imedi“ და “PosTV”, უკრაინასთან დაკავშირებით რუსულ დეზინფორმაციაში ჩართულობისა და გავრცელების გამო დაასანქცირა. “ქართული ოცნების” წარმომადგნელებმა და კომუნიკაციების კომისიამ გაერთიანებული სამეფოს მიერ პროპაგანდისტული ტელეარხების დასანქცირება სამართლიანი კონკურენციის შეზღუდვისა და ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის შეფერხებისკენ მიმართულ ქმედებად შეაფასეს.

- **ქიმიური იარაღის შესაძლო გამოყენების საქმე**

2025 წლის 1 დეკემბერს გამოქვეყნდა BBC-ის ჟურნალისტური გამოძიება, რომლის თანახმადაც, საქართველოში 2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებული მასშტაბური დემონსტრაციების დაშლის დროს, მომიტინგეების წინააღმდეგ შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო აკრძალული ტოქსიკური ნაერთი - “კამიტი”, რასაც მწვავე შიდა და საერთაშორისო რეაგირეა მოჰყვა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ფილმის გამოსვლიდან რამდენიმე დღეში გამოძიება ამოწურულად გამოაცხადა და განაცხადა, რომ წყლის ჭავლში მოქალაქეების წინააღმდეგ გამოყენებული ქიმიური ფხვნილი არა კამიტი, არამედ ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი იყო. სუს-მა დაკითხა BBC-ს რესპონდენდები, მათ შორის ექიმები რომელთა სამედიცინო კვლევა BBC-ის გამოძიებაში ფიგურირებს. ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გამოძიებას აგრძელებს “უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების” მუხლით და ძებნა გამოცხადა შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსაზე, რომელმაც BBC-ისთან აღნიშულ საკითხზე ისაუბრა.

„ქართული ოცნების“ უწყებების მიერ ჩატარებული გამოძიების მიმართ არსებული სერიოზული უნდობლობის გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოებამ მიმართა გაეროს ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას (OPCW) დირექტორს, გამოიყენოს საკუთარი მანდატი და განიხილოს ფაქტების დადგენის ან საგამოძიებო მისიის საქართველოში გამოგზავნის შესაძლებლობა. ამ დრომდე OPCW-ს მხრიდან ამ საკითხზე კომენტარი არ გაკეთებულა.

- **რეპრესიები განათლების სისტემასა და საჯარო სექტორში**

“ქართული ოცნება” აგრძელებს დაანონსებული ანტიკონსტიტუციური ე.წ. “განათლების რეფორმის” გატარებას.

რეფორმა გულისხმობს ე.წ. “ერთი ქალაქი - ერთი ფაკულტეტის” კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, ერთი ქალაქის ფარგლებში კონკრეტული ფაკულტეტი მხოლოდ ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიძლება იყოს და უნივერსიტეტებს შორის უპირატესობა, როგორც უფრო ძველსა და ტრადიციულს, თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტს უნდა

მიენიჭოს. შედეგად, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს პროგრამები 92%-ით უმცირდება. თავად უნივერსიტეტისა და შიდა და საერთაშორისო აკადემიური საზოგადოების მიერ რეფორმა კრიტიკული ხმის ჩახშობის, დამოუკიდებლობის განადგურებისა და კონტროლის დამყარების მცდელობად აღიქმება.

პარალელურად, საჯარო სექტორიდან კვლავ ათავისუფლებენ პროტესტის გამომხატველ, ქვეყნის ევროინტეგრაციის მხარდამჭერ თანამშრომლებს, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე, მათ შორის: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, საზოგადოებრივ მაუწყებელში, განათლების სამინისტროს სიტემიდან. განათლების სფეროდან მასობრივი გათავისუფლების ფაქტებზე კომენტირებისას „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ვინმე ხელისუფლებას რუსულად თვლის, მაშინ არც უნდა მიიღოს ხელფასი ასეთი ხელისუფლისგან.

- **საერთაშორისო რეაგირება საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე**

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა საქართველოს გენერალური პროკურორს გასული წლის ნოემბერსა და დეკემბერში საპროტესტო აქციების მონაწილეების წინააღმდეგ პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების გამოძიებისკენ მოუწოდა. ამასთან, კომისარმა შეშფოთება გამოთქვა "გრანტების შესახებ" და სხვა რამდენიმე კანონში "ქართული ოცნების" მიერ ინიციირებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც საფრთხეს შეუქმნის სამოქალაქო საზოგადოების ლეგიტიმურ საქმიანობას და მოუწოდებს პარლამენტს უარყოს ეს ცვლილებები.

Human Rights Watch-ის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ბოლო დროს გამკაცრებულ საპროტესტო შეზღუდვებსა და სასჯელებს მომიტინგეების თვითნებურად დაკავებისა და შევიწროებისთვის იყენებს, რაც პროტესტის უფლებით საგრებლობას საქართვლოში რთულს და საშიშს ხდის.

საერთაშორისო აკადემიური საზოგადოებისგან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა „ქართული ოცნების“ განათლების რეფორმასაც. 65 პროფესორისგან შემდგარი საერთაშორისო ჯგუფი მოუწოდებს საქართელოს მთავრობას, გადახედოს უმაღლესი განათლების რეფორმის კონცეფციას.

ჰელსინკის კომისიამ მოუწოდა აშშ-ის ხელისფლებასა და მის მოკავშირეებს, გადაამოწმონ BBC-ს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საქართველოს ხელისუფლებამ 2024 წლის საპროტესტო აქციების დროს შესაძლოა ქიმიური იარაღი გამოიყენა, და შესაბამისი სანქციები დაუწესონ პასუხისმგებელ პირებს.

2026 წლის 4 თებერვალს დიდმა ბრიტანეთმა ორი პროსახელისუფლებო-პროპაგანდისტული სატელევიზიო არხი - „Tv Imedi“ და PostTv რუსულ დეზინფორმაციის ავრცელების გამო დაასანქცირა.